ცნობის ფურცელი

№ 2294 ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2294

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 8 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 ოქტომბერს, 1903 წ. მეორე აბონემენტი

◆ ვ. ს. ალექსეევ-მესხიშვილის მონაწილეობით ◆

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

შეშლილია

დრამა 3 მოქმ. თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.

II

მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

კომ.-ფარ, 2 მოქმ. გადმოკ. ა. ცაგარლისაგან.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. როინელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მესხიშვილი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ავლაბრის ახალი თეატრი

შაბათს, 18 ოქტომბერს, 1903 წელს ავლაბრის ახალ თეატრში

დაკლებულის ფასებით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

სამშობლო

ისტორ დრამა 5 მოქმ. და 7 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძე, მ. მდივანი, ნებიერიძე; ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონისე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. რეჟისორი **გედევანოვი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 16 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

I

რიგოლეტო

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ვერდისა.

II

ქორწილი ოიცოვში

ბალეტი 1 მოქმ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარტავინა, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი: რაისკი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, შმაკოვი, კლიუზნერი, ფედოროვი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 17 ოქტ.—„ჟიდოვკა“ გალევისა, 18 ოქტ. წარმოდ. გალა—„ფრა-დიავოლო“, აბერისა, 19 ოქტ. დილით „ცარსკაია ნევესტა“. მზადდება წარმოსადგ. „ფრანჩესკო და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12–1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12–1 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5–6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

იაპონია. რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობაზე ინგლისურ გაზ. „ჯეპენ დ. ჰერალდ“-ში (იაპონიაში გამოდის) საინტერესო წერილი დაიბეჭდა. გაზეთი სწერს:

„იქმნება ომი, თუ არა?—ჰკითხულობს მთელი იაპონია. აქაური ხალხი მეტად აღელვებულია და თავის მთავრობას უჩივის, არაფერსა თავობს, არაფერს არიგებს და რუსეთის წინ ქედს იხრისო. ხალხი მეტად ჰკიცხავს იაპონიის მთავრობას, მაგრამ, ეჭვი არაა, მთავრობა თადარიგს იჭერს და ბეჯითად ემზადება საომრად. ის-კი არას დროს არ ითქმის, რომ მთავრობას ომი ეწადოს. ცხადია, იაპონიის ხალხის მომეტებულ ნაწილს ძლიერ სწყურიან, რომ იაპონია რუსეთს გაუმკლავდეს და თავისი ძალა და ღონე სცადოს, მაგრამ, საბედნიეროდ, იაპონიის მმართველები ფრთხილი და წინ-დახედული ხალხი არიან და, იმედია, ყველაფერს რიგზე ასწონ-დასწონენ და ისე მოიქცევიან. თავდაპირველად უნდა ვიკითხოთ—რისთვის უნდა იომოს იაპონიამ? რომლისამე სახელმწიფოს ალაგმვა და ჰკუის სწავლება სწადიან, თუ თავის სამშობლოს დაცვა და მტრის მოგერება?

ამაზე ერთად-ერთის პასუხის მიცემა შეიძლება: იაპონიას რუსეთის ალაგმვა სწადიან და ეს წადილი მეტად სამართლიანი და კანონიერი წადილიცაა. მართლაც და რუსეთი მეტად თავს გავიდა, მეტად ბევრ ქვეყნებს იჭერს. ამ ომის ატეხაც მარტო რუსეთს დაედება ბრალად. ეგ კია, აქამდე რუსეთს საქმით პირდაპირ თითონ იაპონიისათვის რომ არა დაუშავებია-რა? ეს მართალია, მაგრამ იაპონია მეტად ახლოა მანჯურიაზე და იმის პირდაპირი ინტერესი მოითხოვს, რომ მანჯურია ჩინეთის პროვინციად დარჩეს და რუსეთმა სამუდამოდ არ დაიჭიროს. მანჯურიაში იაპონიას იმდენივე ინტერესი აქვს, რამდენიც ინგლისსა და ამერიკასა აქვთ. ეჭვი არაა, იაპონიას იმისი ეშინიან, რომ რუსეთი, რამდენიც წინ მიდის, იმდენი უფრო უახლოვდება თითონ იაპონიასაც და კორეისა და ჩინეთსაც. ეს ქვეყნები კი იაპონიას თავის მფარველობის ქვეშ ეგულებოდა.

„თუ რუსეთი მანჯურიას გადაჰყლაპავს, ცხადია, მალე კორეიასაც ყლაპანს მოადენსო“, ამბობენ იაპონელები და თავიანთ მთავრობას ურჩევენ: ომსაც ნუ მოერიდები, ოღონდ ეს საფრთხე კი თავიდან ავვაცილეო. სხვა სახელმწიფოებს მარტო ის უნდათ, რომ მანჯურიის „კარი ნიადაგ ღია იყოს“, ესე იგი, იქ უცხოელებს ვაჭრობის სრული უფლება მიეცესთ. იაპონიისათვის მანჯურიას მეტი მნიშვნელობა აქვს. რუსეთმა რომ ეს პროვინცია დაიჭიროს, იაპონიის ვაჭრობაც და თვით დამოუკიდებლობაც დიდ განსაცდელში ჩავარდება. ამ საქმის გადაწყვეტა ორნაირად შეიძლება: ან რუსეთს მანჯურიიდან ჯარი უნდა გააყვანინონ, ან ისეთი პირობა უნდა დაიდოს, რომ კორეია დამოუკიდებელი დარჩეს და იაპონიას იქ ვაჭრობისა და მრეწველობის უფლება მიეცეს. ცხადია, ის ემჯობინება, რომ იაპონიამ რუსეთს ამნაირი პირობა ჩამოართოს. ეჭვი არაა, ეს შეთანხმება რუსეთთან დროებითი იქმნება, მაგრამ იაპონია უფრო კარგად მოემზადება ომისათვის და, თუ რუსეთი პირობას დაარღვევს როდისმე, იაპონიას საკმაო საბუთი ექმნება ომის გამოსაცხადებლად. ვიცი, ასეთი პოლიტიკა ხალხს ჰკუაში არ დაუჯდება, იაპონელები იტყვიან, მთავრობამ ჩვენ მტერ რუსეთს დაუთმოო, მაგრამ ასეთი პოლიტიკა იაპონიას უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს და უცხო სახელმწიფოებსაც უფრო მოეწონება.

იაპონიამ რომ ომი გამოაცხადოს და გაიმარჯვოს კიდეცა, რას მოიგებს, რას შეიძენს? ესე ვსთქვათ, იაპონიის გავლენა კორეიაში გაძლიერდება. მაგრამ ეს საქმე დიპლომატიის შემწეობითაც ხომ მოხერხდება. ომი, დროებით მაინც, ჩინეთს წელს გაუმაგრებს, მაგრამ იაპონია მანჯურიას ვერას დროს ვერ დაიჭერს, რადგან ომიც სწოედ იმ აზრით იქმნება დაწყებული, რომ მანჯურია რუსეთს ჩამოერთოს და ისევ ჩინეთს გადაეცეს. მართალია იაპონიას შეუძლიან ყველა უცხო სახელმწიფოს მანჯურიაში ვაჭრობის უფლება მოუპოვოს, მაგრამ ამ უფლების მოპოვება დიპლომატიის შემწეობითაც შეიძლება. ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ თითონ რუსეთიც ჰპირდება ამერიკასა და ინგლისს, მანჯურიის „კარები ყველასთვის ღია იქმნებაო“; ამ საქმეზე რუსეთს ეხლა მოლაპარაკება აქვს გამართული ხსენებულ სახელმწიფოებთან.

თუ ვინიცობაა დამარცხდა, მაშინ იაპონიას აუარებელი ზარალი მოუვა, რადგან იაპონიამ ამ შემთხვევაში ბოლომდე უნდა იომოს, სანამ ძალი და ღონე სულ მთლად არ გამოელევა. მართალია იაპონიის დამოუკიდებლობას არაფერი განსაცდელი არ მოელის—სხვა სახელმწიფოები არ მისცემენ რუსეთს ნებას, რომ იაპონიას დამოუკიდებლობა მოუსპოს—მაგრამ იაპონიის ფინანსები შეირყევა, იმისი ფლოტი განადგურდება და დიდი სახელმწიფო ვალიც დაედება. რუსეთი მანჯურიასა და კორეიაში უფრო გაბატონდება და შეიძლება კორეიას დამოუკიდებლობაც მოუსპოს. ცხადია, იაპონია, თუ დამარცხდა, მეტად ბევრსა ჰკარგავს და თუ გაიმარჯვა, მეტად ცოტას იგებს. იაპონია ხომ თავზე ხელ-აღებული ქალალდის მოთამაშე არაა, რომ გიჟურად მთელი თავის შეძლება და სახელი ასეთ დიდ განსაცდელში ჩააგდოს! იაპონია ჯერ უნდა ეცადოს, თავისი ბუნებრივი სიმდიდრე რიგზე მოიხმაროს, გამოიყენოს და მოიცადოს იმ დრომდე, ვიდრე რუსეთი საკმაო საბუთს არ მისცემს ომის გამოსაცხადებლად. იაპონიისათვის ყოველ დღეს დიდი ფასი აქვს, უფრო მეტი ფასიცა აქვს, ვიდრე იმის მოპირდაპირესათვის“.

ამავე საქმის თაობაზე ინგლისურ გაზ. „მანჩესტერ გარდიან“-ის თანამშრომელს ერთ დიპლომატთან ჰქონია ლაპარაკი. დიპლომატს უთქვამს:

„ევროპის პრესას ტყუილად ჰგონია, რომ რუსეთი არას დაუთმობს იაპონიასაო. რუსეთი მეოთხმოცე წლებში ჩინეთთან ომსაც კი მოერიდა და ილი და ქულჯა დაუთმო ჩინეთს. რუსეთი ეხლაც დასთმობს, რადგან იაპონია გაბედულად და მედგრად იქცევა, და ინგლისი და შეერთებული შტატებიც მხარს აძლევენ. უკორეიოდ იაპონიას სიცოცხლე არ შეუძლიან, ამიტომ მეტად ფიცხად უნდა მოიქცეს. რუსეთი უსათუოდ დასთმობს. თუ არ დასთმობს, იაპონია ომს გამოუცხადებს. იაპონიის ჯარი კორეიას შეესევა და მერე იქიდან მანჯურიაში შეიჭრება. ზღვით რუსეთი ჯარს ვერ მოიყვანს, რადგან ინგლისი გემების გზას შეუკრავს ყველგან. მარტო ციმბირის რკინის გზით კი საკმაო ჯარის მოყვანა ძლიერ გაუჭირდება. იაპონია ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს დაეცემა და პორტ-არტურს აიღებს. რაკი პორტ-არტურსა და ზღვაში გამაგრდება, მერე საითაც უჯობს, თავის ჯარს იქით გაჰგზავნის სალაშქროდ. ძლიერა სცდება, ვინც ჰფიქრობს, იაპონია „ჩრდილოეთის დევთან“ ვერას გახდებაო. რუსეთს ევროპაში აქვს „დევის“ ძალა და არა მანჯურიაში. რუსეთის დიპლომატია ჯერ ეცდება, რომ თავისი გაიტანოს, მაგრამ ვერას გახდება და უსათუოდ იაპონიას დაუთმობს, კორეიაზეც ხელს აიღებს და მანჯურიიდანაც პირობისამებრ ჯარს გაიყვანს. ვიმეორებ, რუსეთი უსათუოდ დაუთმობს იაპონიას; ამიტომ შორეულ აღმოსავლეთში ომი არ მოხდება“.

◆ იაპონური გაზეთები იუწყებიან: ინგლისს შორეულ აღმოსავლეთში 9 ჯავშნიანი გემი ჰყავს და 5 ჯავშნიანი კრეისერი. ამ გემებს 217 დიდი ზარბაზანი აქვთ და 570 პატარა. ინგლისის მთავრობას კიდევ ახალი გემები გაუგზავნია შორეულ აღმოსავლეთში.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: ოთხი იაპონელი ოფიცერი იარაღსა და სამხედრო მასალას ჰყიდულობდნენ კრუპის ქარხნებში (გერმანიაშია). ეხლა ეს ოფიცრები იაპონიის მთავრობამ სამშობლოში დაიბარა. უკანასკნელ წლებში იაპონიამ დიდ-ძალი ზარბაზანი იყიდა კრუპის ქარხნებისაგანაო.

◆ იაპონიის ელჩს ინაგაკის—სიამშია ელჩად—კორეიაზე გაუვლია და იქ ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ბ-ნი მორისონი უნახავს. მორისონს უთქვამს ელჩისათვის:

„თუ იაპონია მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს სახელს სჯერდება, მაშინ, რასაკვირველია, რუსეთის მოქმედებას გულ-გრილად უნდა უცქიროს. მაგრამ თუ იაპონიას უნდა, რომ პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოებში საპატიო ადგილი დაიჭიროს, მაშინ, რაც შეიძლება მალე, რუსეთს ომი უნდა გამოუცხადოს. იაპონიას მტკიცე იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ინგლისი და შეერთებული შტატებიც დახმარებას გაუწევენ, რადგან რუსეთის თავხედობამ და მოურიდებელმა ქცევამ მთელი ქვეყნიერობა ააშფოთა. რაკი ინგლისი და ამერიკაც დაეხმარებიან, იაპონია უსათუოდ გაიმარჯვებს.“

მორისონის ნათქვამი ინაგაკის გამოჩენილ იაპონელ მოღვაწის მარკიზ იტოსათვის გადაუცია. მარკიზ იტოს მიუგია: სჯობია, რაც ხელთა გვაქვს, იმას დავსჯერდეთ, თორემ ვაი თუ ომმა ყველაფერზე ხელი აგვაღებინოსო.—მკითხველს ეცოდინება, რომ იტო იმ თავითვე მორიგების მომხრეა და ყოველნაირ წინააღმდეგობას უწევს ომის მომხრე პარტიას. იტოს აზრით, იაპონია უნდა ეცადოს, რომ კორეიისა და მანჯურიის საქმე მორიგებით, დიპლომატიურად გადასწყდეს. იტოს

იმედი აქვს, იაპონია უომრადაც თავისას გაიტანსო.

◆ გუშინ მოხსენებული გვქონდა, რუსეთმა მანჯურიის თაობაზე ახალი პირობა დაუდო ჩინეთსაო. პეკინიდან ატყობინებენ რუსულ გაზ. „ნოვი კრაი“-ს: ეს ახალი პირობა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრისა და იმის ამხანაგების გარდა სხვამ არავინ იცის. ქვრივმა დედოფალმა აუდენციის დროს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს ლიან-ფანს დაავალა, მანჯურიის საქმე, რაც შეიძლება, მალე გადასწყვიტეთო. ლიან-ფანმა რამდენჯერმე მუხლი მოიყარა, შუბლი იატაკს დაჰკრა და სთხოვა ქვრივ დედოფალს—დამარიგეთ, რა ნაირად უნდა გადასწყდეს ეს საქმეო. დედოფალმა უპასუხა: სახელმწიფოების ზოგიერთი მოთხოვნილება უნდა შევასრულოთ; უამისოდ ეს საქმე არ გადასწყდება. თავდა-პირველად კი იმას უნდა ვეცადნეთ, რომ რუსეთს მანჯურიიდან, პირობისამებრ, ჯარი გავაყვანინოთო.

მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის დაჭრა

გუშინ ვაუწყეთ მკითხველებს მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის დაჭრის ამბავი. ეხლა „კავკაზ“-ში შემდეგი დაწვრილებით ცნობებია დაბეჭდილი ამის შესახებ: „14 ოქტომბერს ტფილისი შეაძრწუნა საზარელმა ამბავმა, რომელიც საჩქაროდ მთელ ქალაქს მოედო. ნაშუადღევის ესე ოთხ საათზე თავადი—მთავარ-მართებელი, დღიურ მუშაობის გათავების შემდეგ, მეუღლესთან ერთად ჩვეულებისამებრ სასეირნოდ გაემართა კოჯრის გზისკენ. უკან დაბრუნებისას, იმ ადგილას, სადაც შოსედან ბოტანიკის ბაღისკენ დაღმართი იწყება, დარაჯის სადგომის პირდაპირ, ეტლს ორსავე მხრიდან დაეცა სამი ბოროტ-განმზრახველი, ერთმა ხანჯალი დაუშინა თავში თავად გრიგორ სერგეის ძეს, ხოლო ორმა მოიწადინა თავადის ეტლიდან გადმოყვანა, მაგრამ თავადმა ჯოხით მოიგერია. ამ დროს ყაზახი, რომელიც კუჩერს გვერდით ეჯდა, ჩამოხტა ძირს და ბრძოლა დაუწყო ბოროტ-განმზრახველთ, ამით ისარგებლა ეტლმა და მათ ბრწყინვალებასთან ერთად გზას გაუდგა. ბოროტ-განმზრახველებმა ტყვიით ფეხში დასჭრეს ყაზახი, ოქრო-ყანისკენ გაიქცნენ და ხევში დაიმალნენ. მაგრამ იმათ ფეხ-და-ფეხ დაედევნენ პოლიციელი, რომელიც ლოლაძის სახლთან იდგა, ლოლაძის შვილი ცხენით და სხვა კერძო კაცნი. მალე ამათ მიეშველნენ ქალაქიდან მისული საპოლიციო დარაჯები და ცხენოსანი ყაზახები. ბოროტ-განმზრახველნი ბუჩქნარში შეცვივდნენ, იქ ერთი ბუჩქიდან მეორესთან გადარბოდნენ და თან ისროდნენ. ოსავე მხრიდან ატეხილ სროლის დროს მოჰკლეს ერთი ბოროტ-განმზრახველი და დასჭრეს ორი. ერთი სასიკვდილოდ, ხოლო მეორე მძიმედ.

„ვიდრე ყველა ეს მოხდებოდა, თავადი მთავარ-მართებელი მეუღლითურთ სასახლეში მოვიდა, სადაც დაბარებულმა ექიმებმა ჭრილობანი შეუხვიეს. აღმოაჩნდა თავზე სამი ჭრილობა—ორი ქუდიდან და ერთიც სახეზე; ამას გარდა ერთი ჭრილობა ხელზე აღმოაჩნდა. ჭრილობანი, ღვთის მადლით, საშიშნი არ აღმოჩნდა. მის ბრწყინვალებას მხნეობა და მშვიდობიანობა ერთ წუთსაც არ დაუკარგავს და რამწამს ჭრილობა შეუხვიეს, გამოვიდა დარბაზში, სადაც ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელნი, კაცნი და ქალნი, ბლომად შეკრებილიყვნენ. აქვე შეიკრიბნენ ადგილობრივი მოხელენი და პროკურატურა სამოსამართლო პალატის პროკურორის მეთაურობით და იქვე გამოძიებას შეუდგნენ.

დაჭრილი ყაზახი, რომელიც მთავარ-მართებელზე თავდამსხმელთ იგერიებდა, მიიყვანეს სასახლეში, სადაც მათმა ბრწყინვალებამ დიდის მზრუნველობით მოუარეს. საკვირველი იყო, რა ყურადღებით ექცეოდა ერთგულ მსახურს მისი ბრწყინვალება კნეინა მარიამ თეოდორეს ასული, რომელიც ძალზე სწუხდა მიუხედავად იმისა, რომ რამდენისამე წუთის წინად იმის თვალწინ დაუჯერებელი ბოროტ-მოქმედება მოხდა. დაჭრილ ყაზახს წარუდგინეს მოკლული და დაჭრილი ბოროტ-მომქმედნი, რომელნიც ყაზახმაც მაშინვე იცნო. საღამოზე ორივე დაჭრილი ბოროტ-მომქმედი მოკვდა. ასეთია გარემოებანი იმ საზიზღარ განზრახვისა, რომელსაც აზრად ჰქონდა კავკასიის უფროსის სიცოცხლის მოსპობა.

„გული ეკუმშება კაცს, როდესაც გაიხსენებს ამ საოცარ ბოროტ-მოქმედებას. განა მოსალოდნელი იყო, რომ თავხედ ხელს აიმაღლებდა ვინმე უმაღლესს ხელმწიფების მთავარ წარმომადგენელის სიცოცხლის წინააღმდეგ! სასურველია, რომ ბოროტ-მომქმედნი კავკასიის ადგილობრივ მკვიდრნი არ აღმოჩნდნენ“.

⁂

როგორც ჩვენ გავიგეთ, პირველად მთავარ-მართებლის ეტლს ერთი კაცი მიჰვარდნია, შემხტარა ეტლის საფეხურზე და ხანჯალი აუშვერია ჩასარტყმელად, მაგრამ მთავარ-მართებელს აუქნევია ხელი, რომელშიაც ჯოხი სჭერია, და ხანჯალი აუცდენია. მარცხენა ხელი ამდროს დაეჭრა თურმე. სწორედ ამავე დროს ორი სხვა ბოროტ-განმზრახველიც მისულა და ერთს უკანიდან დაურტყამს თავადისთვის თავში ხანჯალი. პირველს ერთხელ კიდევ მოუსწვრია ხანჯლის მოქნევა და სახეში დაუჭრია მთავარ-მართებელი. კუჩერთან მჯდომ ყაზახს დაუნახავს-რაეს, ჩამომხტარა და ეტლის საფეხურზე მდგომი ბოროტ-განმზრახველი ძირს ჩამოუგდია, ამ დროს მესამე ბოროტ-განმზრახველს რევოლვერი უსვრია და ყაზახი მძიმედ დაუჭრია. ყოველივე ეს ერთ წუთში მომხდარა. როდესაც ყაზახს ერთი ბოროტ-განმზრახველი ეტლისთვის მოუშორებია, მეეტლეს უსარგებლნია ამით და ეტლი ქალაქისაკენ გამოუქანებია. რევოლვერის ხმა გაუგონია ლოლაძის შვილს, რომელიც ჩაუცმელი გამოვარდნილა და როდესაც ქალაქისკენ მომავალი ეტლი დაუნახავს, მახლობლად მდგომ პოლიციელისათვის რევოლვერი გამოურთმევია, პოლიციელი ტელეფონთან გაუგზავნია, აცნობე ყველაფერი ქალაქშიო, და მერე რევოლვერით გამოსდგომია ბოროტ-განმზრახველთ. ამ დევნის დროს ერთი მოუკლავს, ხოლო ორი ძირს ხევში ბუჩქნარს შეჰფარებია. ცოტა ხანს შემდეგ ასულან ის ცხენოსანი დარაჯები, რომელნიც ცეცხლის მქრობელ რაზმთან არიან, და ორი ბოროტ-განმზრახველნიც მოუკლავთ ხევში.

დაჭრილი ყაზახი მთავარ-მართებლის სასახლეში ჩაუყვანიათ. იქვე ჩაუყვანიათ ორი დაჭრილი ბოროტ-განმზრახველი და ჩაუტანიათ მოკლულის გვამი. დაჭრილ ყაზახს უცვნია ბოროტ-განმზრახველნი. ერთი ბოროტ-განმზრახველი მთავარ-მართებელსაც უცვნია.

⁂

გუშინ, 15 ოქტომბერს, ტფილისის ყველა სასწავლებლებში პარაკლისი გადაიხადეს კავკასიის მთავარ-მართებლის გადარჩენისათვის თავდასხმისაგან.

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის **თავადის გოლიცინის** ჯანმრთელობის ბიულეტენი.

მისმა ბრწყინვალებამ ჭრილობის შეხვევის შემდეგ ღამე 14 ოქტომბერს კარგად გაატარა. ტემპერატურა 15 ოქტომბერს დილას 36,6. მაჯა კარგი აქვს. დღისით ტემპერატურა 39°, ავიდა, საღამოს 8 საათზე-კი 38,5. მაჯა კარგი აქვს. ჭრილობა შესახვევის გამოცვლის შემდეგ კარგს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო, გადომსკი.

15 ოქტომბერი საღამოს 8 საათი.

◆ როგორც „გრ. ტ.-პრ. ვ.პ“-ში დაბეჭდილია, **ჭიათურის შავი-ქვის** რაიონში, ღვიმევს, თავ. ე. წერეთლის მამულში ამ ჟამად ადგილებს იკვლევენ ინგლისის კაპიტალისტთა ერთის წრის წარმომადგენელნი. სხვათა შორის, ამ წრეში არიან „მილსბოროს“, გასტონისა და ფლიტვუდის ქარხნები. ინგლისში უმთავრესად ესენი იძენენ შავქვას. ადგილებს იკვლევს დასი ინგლისის ინჟენერის სკოტტის მეთაურობით. ეს სკოტტი პიონერი იყო შავის ქვის საქმისა ბრაზილიაში, სადაც იგი ერთის ფირმის გამგედ იყო. თავ. ე. წერეთლის მამულს 50 დესეტინა უჭირავს, შეიცავს, როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, 60 მილიონ ფუთ შავქვას. ინგლისელები ამ მამულს უეჭველად შეიძენენ, რადგან გამოკვლევამ კარგი ნაყოფი მოიტანა. ბეც მიუციათ. მამულს 200,000 მანეთად იძენენ. ინგლისელები ყოველ ამას არ დასჯერდებიან და მეზობლად სხვა შავქვიან ადგილებსაც შეიძენენ და მაშინ ინგლისი დიდ ხანს უზრუნველ ყოფილ იქნება შავის ქვით.

◆ **მოსკოვში ქართული საღამო** სტუდენტთა სასარგებლოდ გაიმართება 9 ნოემბერს. საღამოს ჰმართავს თავადი ა. ი. სუმბათაშვილი.

◆ ტფილისის საბჭოს ხმოსანმ ნ. ი. თამამშევმა განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს, რომ **გაზეთების თანამშრომელთ** ნება მიეცეთ დაესწრნენ ხოლმე როგორც ქალაქის გამგეობისა, ისე საბჭოს სხვა-და-სხვა კომისიების სხდომებს.

◆ გუშინ, 15 ოქტომბრისთვის, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო მაქმე სამსონ მიქაძისა, რომელსაც დეპოს უფროსის **შპიგანოვიჩის მოკვლის** განზრახვა ჰბრალდებოდა. სასამართლომ ამ საქმის განხილვა სხვა დროსათვის გადასდო, რადგან ბრალდებული მძიმე ავად ყოფილა და ამ ჟამად საპატიმროს სამკურნალოში წევს თურმე.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფმა მ. ს. შესტაკოვმა მოხსენება წარუდგინა გამგეობას **სახელოსნო სასწავლებლის მდგომარეობის** შესახებ. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, წელს სასწავლებელში თხოვნა შეუტანია 153 კაცს, აქედან 48 ქართველს, 48 რუსს და 49 სომეხს. მიუღიათ მხოლოდ 50 მოსწავლე: რუსი—22, სომეხი—15 და ქართველი—11. ქალაქის პირველ დაწყებით სკოლიდან ძალიან ცოტას მიუცია თხოვნა სახელოსნო სასწავლებელში მისაღებად, რაც, მომხსენებლის აზრით, იმით აიხსნება, რომ ქალაქის სკოლები ჯეროვანად ვერ ამზადებენ ახალგაზდობას. შემდეგ მომხსენებელი სწერს, რომ სწავლის საქმე მეტად ცუდად არის დაყენებული, ასე რომ მოუმზადებლობის გამო ერთი კლასიდან მეორეში ნახევარი ძლივს გადადისო. ქალაქის გამგეობამ ეს მოხსენება განიხილა 14 ოქტომბერს და დაადგინა, წერილობით განმარტება მოსთხოვოს სახელოსნო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს.

◆ კავკავის მოქალაქეთა საზოგადოებას, როგორც „ტიფ. ლისტ“. გადმოგვცემს, თელავის საქალაქო სკოლაში დაუარსებია პოეტის რაფიელ **ერისთავის სახელობის ერთი სტიპენდია.**

◆ ბათუმში განუზრახავთ **„სიკვდილისაგან ურთიერთ დამზღვევ“** საზოგადოების დაარსება. ჩვეულებრივ სამარხ კასისაგან ასეთი საზოგადოება შესამჩნევად განსხვავდება. დღეს მთელს რუსეთში ორია ამ გვარი სა-

ფელეტონი

პრესსა და ლიტერატურა ინგლისში

V

ქუჩის პრესსა

(დასასრული *)

ქუჩის პრესსის ყოველ დღიურ გაზეთებს შორის სხვებზე უფრო შესანიშნავი „დეილი მეილ“-ია. დაარსდა 1896 წელს, ჯემსონის ტრანსვალში შესევის შემდეგ. რედაქტორ-გამომცემელი ხარმსუორტია. წინა ფელეტონში უკვე გვქონდა ლაპარაკი ამ ხარმსუორტზე. ხსენებულ შესევის შემდეგ ხარმსუორტს საიდანაც მილიონები მოევლინა გაზეთის გამოსაცემად. „დეილი მეილ“ იმპერიალიზმის გუნდრუკის მკმეველია. დაარსების პირველ ხანსვე საოცრად გავრცელდა, ხოლო დღეს მილიონზე მეტი საღდება. თვით ხარმსუორტი ამ ჟამად გამომცემელია ყოველ დღიურ, ყოველ კვირეულ, ყოველ თვიურ, დილის და საღამოს გაზეთ-ჟურნალებისა.

ხარმსუორტზე ნაკლებ შესანიშნავი არც პირსონია, მეორე ცნობილ ქუჩის გაზეთის, „დეილი ექსპრეს“.ის, დამაარსებელი (1900 წელს) და გამომცემელი. თხუთმეტის წლის წინად „ტეტ-ბიტს“-მა კონკურსი დანიშნა: 1000 მანეთიან ადგილს დაჰპირდა იმ ყმაწვილ კაცს, რომელიც 130 კითხვაზე შესაფერ პასუხს მიუგებდა. აი, ზოგიერთი კითხვა: რომელი ქალაქი დაემორჩილა მკვდარ გენერალს? როდის დაიწყო ახალი ისტორია? რა ათი ცხოველი (კაცის გარდა) მოჰყვა სამოთხეში? ვინ გამოიგონა გელიოგრაფი? და სხვა. პასუხის შესაკრებად საჭირო იყო ძველ ლექსიკონებსა და ალმანახებში ჩხრეკა. ადგილის მსურველი სამი ათას კაცამდე აღმოჩნდა, მაგრამ ყველას სოფლის მღვდლის შვილმა არტურ პირსონმა აჯობა. პასუხების შესაკრებად ყმაწვილმა სამი თვე იმუშავა დილით საღამომდე ბეზფორდის წიგნთსაცავში. „ტეტ-ბიტს“-ის რედაქციაში ექვსის თვის სამსახურის შემდეგ პირსონმა რედაქტორობა მიიღო. 1889 წელს ჯამაგირის მომატება (3500 მან. ჰქონდა) მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო, ამიტომ თავი გაანება და საკუთარ ჟურნალის, „პირსონ ვიკლის“, გამოცემას შეუდგა. ცოტა უფრო ადრე გაანება თავი „ტეტ-ბიტ“-ს ხარმსუორტმა, ასე რომ ამ ორმა კაცმა თითქმის ერთ დროს დაიწყო დამოუკიდებლად გამომცემლობა.

პირსონმა „ტეტ-ბიტს“-ი დაიწუნა, ბევრი აზრები და იდეებია შიგაო. აი, ამიტომ თავის ჟურნალში უმთავრესი ყურადღება პრიზებს მიაქცია. ამ პრიზების წყალობით ჟურნალი მეორე წელიწადსვე 200,000 ცალად გადიოდა. მაგრამ პირსონს მეტი უნდოდა, ამიტომ მთელი ჟურნალი ლატარიად გადააქცია. გამოაცხადა, ვინც ამა და ამ წინადადებაში გამოტოვებულ სიტყვას გამოიცნობს, შეკრებილ ფულს მიიღებსო. ხოლო ფული თვით ხელის მომწერთაგან იკრიბებოდა. ვისაც სიტყვის გამოცნობა სურდა, იმას უნდა მოეხია ჟურნალზე კუპონი, შეევსო წინადადება დაკლებულის სიტყვით და ათ შაურთან ერთად წარედგინა რედაქციაში. აი, ამ ათი შაურებისაგან დგებოდა თანხა გამომცნობთა დასაჯილდოვებლად. პირველ ხანსვე ეს თანხა 700 მანეთამდე ავიდა. ყველას უნდოდა ამ ფულის მოგება, ამიტომ ერთი კაცი ხშირად გაზეთის ათ და ოც ცალს ყიდულობდა, კუპონებში სხვა-და-სხვა სიტყვებსა სწერდა და ადგენდა რედაქციაში, იმ იმედით, რომ ერთი სიტყვა მაინც გამართლდება და ფულს მივიღებო. გაზეთი ისე გავრცელდა, რომ 1,250,000 ცალის ბეჭდვას შეუდგა გამომცემელი. გაზეთის წარმატებამ მიმბაძველნი გააჩინა: გაჩნდა 200 მეტი მელატარიე გამოცემა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სასამართლო ჩაერია. ერთი გამოცემა ლატარიის გამო სამართალში მისცეს. პროცესი დიდხანს გაგრძელდა. გაზეთებმა საუკეთესო ვექილები მიიწვიეს, მაგრამ სასამართლომ ბოლოს უკანონოდ იცნო ლატარიები. იმ დროს, როდესაც განაჩენი გამოცხადდა, „პირს. ვ.“-ს რედაქციაში 400,000 მანეთი იყო მომგებთა შორის გასანაწილებლად. რასაკვირველია, ეს ფული რედაქციამ თავისთვის დაიტოვა. ლატარიის გაუქმების გამო გაზეთის ტარიფი 200,000-მდე ჩამოვიდა.

ასეთია ეს ქუჩის გაზეთი. უმთავრესად მკითხველს ლოტარიებითა და პრიზებით იზიდავს. შინაარს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და კიდეც ამიტომ ჟურნალში საყურადღებო არა იბეჭდება-რა, თუმცა შინაარსი განყოფილებებად არის დანაწილებული: ერთს აწერია ფილოსოფია, მეორეს—ეტნოგრაფია, მესამეს—ისტორია, ბელეტრისტიკა და სხვა. ფილოსოფიის განყოფილებაში მაგალითად, ამ გვარი წერილები იბეჭდება „რა გავლენა აქვს საჭმელს დანაშაულობაზე“. ავტორი ამტკიცებს, ცუდი საჭმელი კაცს აბრაზებს და დანაშაულობას ადენინებსო, კარგი საჭმელი-კი ამაღლებს და აკეთილშობილებსო. ეტნოგრაფიისა და ისტორიის განყოფილებებში ავტორები ხშირად ამტკიცებენ, რომ ინგლისი მთელის დედამიწის მბრძანებლად არის გაჩენილი, რადგან ინგლისელნი უჭკვიანესი, უნიჭიერესი, უმამაცესი და უკეთილშობილესი ხალხია ცის ქვეშაო. ინგლისის ქვეშევრდომი ერები უბედურნი თავიანთ მიზეზით არიან, რადგან ინგლისელთა ჭკვიანურ დარიგებას ყურს არ უგდებენო. ერთხელ ჟურნალის ერთი ეკონომისტი უცნაურ რამეს ამტკიცებდა: ინდოეთში შიმშილი იმიტომ გაჩნდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ძუნწნი და ძალზე ყაირათიანები არიან და ფულის დახარჯვას შიმშილს არჩევენო. თურმე ნუ იტყვით, ინდოელებს ფული ბლომად ჰქონიათ, მაგრამ სიძუნწით პურს არა ყიდულობენ და ამიტომ იხოცებიან...

ბელეტრისტიკა ამ გვარ გამოცემისა მხეცურ ინსტიქტებს ემსახურება მხოლოდ. ავტორები ავრცელებენ ცრუ-მორწმუნოებას და „პატრიოტიზმს“. ხსენებულ ჟურნალში

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2288.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოება—ერთი ხარკოვსა და მეორე ბელოსტოკში.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თხოვნის თანახმად, საჭიროდ დაინახა მოსწავლეთათვის **ტანისამოსის ფორმის** შემოღება. გამგეობამ დაადგინა დაავალოს სკოლის საპედაგოგიო საბჭოს, შეიმუშაოს ფორმა.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ ქალაქის გამგეობას წარუდგინა დასამტკიცებლად **პროექტი იმ წესებისა**, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ გამგეთ მოსწავლეთა შორის წესიერების დასამყარებლად და აგრეთვე სახელოსნო განყოფილებაში პრაქტიკულ მუშაობის რიგზე დასაყენებლად, რომ მანქანების მუშაობის დროს მოწაფეებს რაიმე უბედურება არ დაემართოთ. ქალაქის გამგეობამ ეს პროექტები შეუცვლელად დაამტკიცა.

◆ ქალაქის საამშენებლო განყოფილებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას 700 მან. ავლაბრისა და მნაცაკანოვის **ხიდების შესაკეთებლად**. გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა

◆ ტფილისში **ბავშვთათვის მზრუნველ** საზოგადოების გამგეობამ მადლობა გადაუხადა ქალაქის გამგეობას წარსულ წელს 200 მან. დახმარებისათვის და სთხოვა, ასეთი შემწეობა მომავალ წელსაც აღმოუჩინეთ საზოგადოებასაო.

◆ ტფილისის ქალაქის ლომბარდის გამგემ ამას წინად მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას. თხოულობდა, რომ ლომბარდში დატოვებულ იქმნას კასსირის თანამდებობა, ხარჯის ანგარიშების წარმოება მიენდოს ერთს მეარტელეს და, საბჭოს დადგენილებისამებრ, მოწვეულ იქმნან ლომბარდში მეარტელენი. გამგეობამ დაადგინა: დასტოვოს კასსირის თანამდებობა იმ დრომდე, ვიდრე მეარტელეებს საკუჭნაო ჩაჰბარდებათ, ეთხოვოს საბჭოს, რომ ქალაქის ლომბარდში კასირის თანამდებობა დარჩეს, ხოლო, რადგან არტელის შემოღებით კასირს საქმე შეუმცირდება, ჯამაგირი დაეკლოს 840 მანეთამდე.

◆ რადგან საქონლის ბაკის გამგე რამდენისამე ხნით განთავისუფლებულ იქმნა სამსახურიდან, ქალაქის გამგეობამ იმის თანამდებობის აღსრულება მიანდო ბეითალს მელქუმოვს.

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** მე-159 №, რომელშიაც მოთავსებულია: ლექსი, ვ. რუხაძისა; „უსათაურო“, მოთხრობა ა. ჩეხოვისა; პორტრეტი ვ. ნ. აბულაძისა; სურათები იაპონიის ცხოვრებიდან და კარიკატურები.

შინ და გარედ

22.

ერობა ისევ ალაპარაკდა, ახმაურდა.

ვამბობ „ისევ“, რადგან რუსეთის ადგილობრივ თვითმმართველობის ისტორიაში ყოფილა მომენტები ერობის მოძრაობისა და ხმა მაღლა ლაპარაკისა. მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ახლანდელ ხანისა და იმ მომენტებს შორის განსხვავება არის.

წინანდელ მომენტებს უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდათ: რომლისამე გარეშე გარემოების მიზეზითა და ზეგავლენით ერთი ან ორი საერობო კრება წამოაყენებდა ამა თუ იმ მოთხოვნას და საქმე ამით თავდებოდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერობის ნაყოფიერს მუშაობას არსებობის პირველ ხანებში (მე-60 წ. წ.), ამ დაწესებულებას გაცხოველება დაეტყო მე-80 წლების დასაწყისში, როდესაც ზოგიერთ ერობამ სხვა-და-სხვა რეფორმა მოითხოვა. ეს გაცხოველება აიხსნება იმ დროის საზოგადო მოძრაობით და მალევე ჩაჰქრა. მას შემდეგ ერობის მოღვაწეობა უფერული იყო და არავითარ მოთხოვნას, რასაკვირველია, ადგილი არ ჰქონდა.

ასეთი შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს ერობის დღევანდელ ახმაურებას. ჯერ ერთი, ისეთი გარეშე გარემოება არა არის-რა, რომლის ზეგავლენით ყოფილიყოს გამოწვეული ერობათა ლაპარაკი და ღაღადი; მეორეც ისა, რომ ერთად და ერთნაირად ალაპარაკდა მთელი საერობო რუსეთი.

„გარეშე გარემოებანი“, პირიქით, ხელს არ უწყობენ ერობის ღაღადს. როგორც ერობის მიმართ, ისე საზოგადოთ, საერთო კანონმდებლობაში, ისევ ის პოლიტიკა მოქმედებს, რომლის ტენდენციაა თვითმმართველობის შეზღუდვა და ბიუროკრატიის გაძლიერება. მიუხედავად ამისა, ერობა სულ სხვა კილოზე იწყებს ლაპარაკს და ხმამაღლა ითხოვს ისეთს რეფორმებს, რომელნიც ძირიანად ეწინააღმდეგებიან არსებულს შეხედულებას თვითმმართველობაზე. ამ ჟამად, როგორც დეპეშებიდანაც იცით, სამაზრო ერობათა კრებებია. თითქმის ყველა მათ, როგორც ერთმა კაცმა, ერთი და იგივე მოთხოვნა წამოაყენეს: უნდა მოისპოს წოდებრივი ერობა და დაარსდეს წოდებათა განურჩეველი ადგილობრივი თვითმმართველობაო; უნდა შემცირებულ იქმნას ცენზი საერობო არჩევნებში მონაწილეობის მიღებისთვისაო; უნდა დაარსდეს მცირე რაიონზე მომქმედი თვითმმართველობითი დაწესებულებაო (мелкая земская единица) და სხვა; ზოგი ერობა იმასაც თხოულობს, რომ ერობაში მონაწილეობის მიღების ნება ქალებსაც მიენიჭოსო.

როგორც ხედავთ, აქ მთელი პოლიტიკური პროგრამაა. რუსეთის ერობის წარმომადგენელთ განუზრახავთ ნამდვილი, რეალური თვითმმართველობა და არა ვითომდა თვითმმართველობა იქონიონ. ცენზის შემცირება, წოდებათა უფლების გაერთიანება და მცირე რაიონის საერობო დაწესებულების შემოღება ჰნიშნავს ხალხის უფლებათა აღიარებას ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეში. აწ არსებულმა საერობო დებულებამ შეჰქმნა თავად-აზნაურობის თვითმართველობამ, რომელზედაც გლეხობას არავითარი გავლენა არა აქვს; ხოლო შეზღუდულმა უფლებამ ერობას ჩამოაცალა უფრო ენერგიული და ცხოველი ელემენტები. ერობის ახლანდელს მოძრაობას საგნად აქვს სწორედ ამ ნაკლულევანებათა თავიდან აცილება და უფრო პროგრესიულ თვითმმართველობის შექმნა.

გამოვა რამე ამ მოძრაობიდან თუ იგი ისეთივე ხანმოკლე იქნება, როგორც წინანდელი „მომენტები“? ამაზე პასუხის მიცემა ძნელია; აღსანიშნავი ის არის, რომ დღევანდელ მოძრაობაში სისტემა და მომზადება სჩანს. ერთი რომელიმე კრება-კი არ აპილპილებულა ვინმეს შთაგონებით ან რომელისამე მოულოდნელ პოლიტიკურ ამბის ზეგავლენით, არამედ მთელი სამაზრო საერობო რუსეთი გამოსულა ახალს გზაზე და აქტიურს მოქმედებას იწყებს. ამას-კი სხვა მოძრაობასთან ერთად მნიშვნელობა აქვს და, ვინ იცის, იქნება მოკლე ხანში რუსეთის ლიბერალიზმის შეთანხმებულს მოქმედებასაც მოვესწროთ.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „კიევსკ. სლოვო“ იუწყება, კიევის ვიცე-გუბერნატორმა განიხილა კიევში 15 სექტემბერს მომხდარ უწესოების საქმე. კუზნეჩნი ქუჩაში სახაზინო არყის სავაჭროსთან შეკრებილი ბრბო პოლიციის მოთხოვნილებაზე არამც თუ არ დაიშალა, პირიქით, პოლიციელთ ცემა დაუწყო. ვიცე-გუბერნატორმა გადაუწყვიტა ხუთს სამ-სამი თვით დაპატიმრება, ხოლო სამს მეეზოვეს—სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ორ-ორის დღით დაპატიმრება.

◆ „ფინლიანდიის გაზეთ“-ში დაბეჭდილია ვიბორგის გუბერნატორის შემდეგი სავალდებულო დადგენილება:

1) სამეფო დღესასწაულებში ყველა სახაზინო, საქალაქო, სათემო და საზოგადო შენობა და აგრეთვე ყველა ის შენობა, რომელშიაც სახელმწიფო, საქალაქო, სათემო და საზოგადო დაწესებულებებია მოთავსებული, დღესასწაულის შესაფერად უნდა იყოს მორთული რუსეთის საერო დროშებით. 2) ქალაქებსა და მაზრებში გამართულ სახალხო კრებებზე გუბერნატორის ნება დაურთველად აკრძალულია არა რუსულ ეროვნულ დროშებისა და ემბლემების გამოკიდვა. ამ დადგენილების დარღვევის საქმე ექვემდებარება ადმინისტრაციას და დამნაშავენი დაჯარიმებულნი იქმნებიან 400 მარკით, ან შეუძლებლობისა გამო დაპატიმრებულნი სისხლის სამართლის დებულების 2 თავ. § 5-ში მოთავსებულ წესდების ძალით.

◆ იაროსლავის საგუბერნიო ერობის სასკოლო კომისიას შეუკრებია ცნობები, თუ რამდენად დაბლა სდგას რუსეთში სწავლა-განათლების საქმე. ერთს სახალხო სკოლაზე რუსეთის იმპერიაში მოდის 1,637 კაცი, როდესაც ნორვეგიაში ერთს სკოლაზე მოდის 357, შვეციაში—441, საფრანგეთში—460, იტალიაში—520 კაცი. 17 ევროპის სახელმწიფოში, რომლის შესახებ ცნობებია, რუსეთს ყველაზე დაბალი ადგილი უჭირავს სწავლა-განათლებით. რუსეთში ახალ გაწვეულ ჯარის კაცთა შორის ასში მარტო 45-ია წერა-კითხვის მცოდნე, როდესაც შვეიცარიაში—99,9, გერმანიაში—99,8, დანიაში—99,6, შვეციაში—97,8 კაცი. როგორც შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, სწავლა-განათლების საქმე რუსეთის იმ გუბერნიებში უფრო წინ მიდის, სადაც საერობო დაწესებულებანი არსებობს. ამ გუბერნიებში უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში ახალ გაწვეულ ჯარის-კაცებში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვს სამჯერ უმატნია. იმ გუბერნიებში-კი, სადაც ერობა არ არსებობს, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვს ორჯერაც არ უმატნია.

◆ როგორც „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება, კურსკის ქალაქის მოურავი ნოვოსილცევი სამსახურიდან გადამდგარა. მიზეზი ის ინციდენტი ყოფილა, რომელიც მომხდარა საბჭოში, ჯარისათვის ყაზარმების დაქირავების თაობაზე საკითხის გარჩევის დროს. მოურავს მოუხოვნია, ეს საკითხი განსახილველ საგანთა სიიდან გამოეკლოთ. ხმოსნები დაჟინებით თხოულობდნენ, საკითხი კრებაზე გარჩეულიყო. ხმოსნების ხმაურობის დროს მოურავმა განაცხადა მწუხარება, რომ იძულებულია მოიქცეს ხმოსნების მოთხოვნილების წინააღმდეგ და საკითხი გადადოს. და რათა „შემდეგ ასეთი შემთხვევა თავიდან ავიცილო, უთქვამს ნოვოსილცევს, მოურავის თანამდებობას თავს ვანებებო“.

თეატრი

ავლაბრის ახალი თეატრი. სულითა და გულით უნდა უყვარდეს არტისტს სცენა და ხელოვნება, რომ ცალიერმა თეატრმა ხელი არ შეუშალოს და დიდის მონდომებით ითამაშოს. გასულ სამშაბათს არაქსიანის თეატრი თითქმის ცარიელი იყო; მიუხედავათ ამისა ჩვენი არტისტები ისე იყვნენ მონდომებული კარგად აესრულებიათ პიესა, რომ გარეშე პირი გაოცებული დარჩებოდა.

ცაგარლის „ციმბირელ“-ში ნამდვილი ცოცხალი პირი ორია—მაზუთიანი და პეტუა. პირველს თამაშობდა ვასო აბაშიძე, მეორეს—აწყურელი. არა გვგონია, რომ ან ერთსა და ან მეორეს უკეთ როდესმე ეთამაშნოთ ან შესაძლებელიც იყოს ამ როლების უკეთ ასრულება. პირველ მოქმედების ბოლოს მონოლოგი მაზუთიანისა ისეთის ძლიერებით, ისეთის რიხით იყო წარმოთქმული, რომ ყველა ადვილად მიხვდებოდა საწყალ სტეფანეს (გედევანოვი) შიშსა და ძრწოლას ასეთის ძალის წინაშე. გედევანოვი გადაუჭარბებლად და ხელოვნებით ხატავდა ამ ძალისაგან დაჩაგრულისა და დალაჩრებულის სტეფანეს როლს.

თვითონ ციმბირელის როლს ასრულებდა გამყრელიძე და, რამდენადაც შესაძლებელია ამ უსიცოცხლო პირის სცენაზე ცოცხლად წარმოდგენა, ძალიან კარგადაც ასრულებდა: ციმბირელი გამყრელიძის რეპერტუარის არის.

გაბუნიას პატარა როლი ჰქონდა, მაგრამ აქაც კი ყველა ხედავდა მის ძალასა და ნიჭს.

იმედაშვილი კარგად თამაშობდა გაიძვერა ადვოკატის როლს და თუ უკეთესი არ იყო, ეს ავტორის ბრალია და არა მსახიობისა.

დანარჩენები ცდილობდნენ ანსამბლისათვის ხელი არ შეეშალათ და ამ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

მირიანაშვილმა როლი სუსტად იცოდა.

ა.

ხევების ადიდება საქართველოში და ზარალი იმისაგან *)

მთის შეუპოვარ ნიაღვრებისაგან ჩვენ მხარეს დიდი ზარალი მოსდის. ნიაღვრები ანადგურებენ ნათესს, ჰრეცხენ ბაღებისა და ვენახების ნიადაგს და ხშირად ხალხს უსახლკაროდ სტოვებენ. კახეთში გომბორისა და დიდის კავკასიონის მთების ნიაღვრები ვენახებს ავსებენ ქვიშით, ლამითა და ქვებით, რითაც მევენახეებს აუწერელ ზარალს აყენებენ. სოფელ რუის-პირს, ახატელს, გულგულს და კარაჯანს მოსვენება არა აქვთ მდინარე თურდოსაგან, რომელიც წვიმების დროს ერთ უშველებელ მდინარეს წარმოადგენს. ესევე ითქმის კისის-ხევისა და იმის მახლობლად მდებარე სოფელ კონდოლისა და თოგნიონის წვერებზე: დიდი წვიმის შემდეგ ესენი წყალ ქვეშ მოექცევიან ხოლმე. კისის-ხევი ძირს უთხრის მარჯვენა მხრივ საუფლის-წულო მამულს და ძველებური საყდარი ამ მამულში უკვე დაანგრია. ნიაღვრებისაგან ზარალი ზოგჯერ თვალსაჩინოა. 1887 წ. 21 მაისს სოფ. აკულისაში (ერევნის გუბერნია), დღისით, ნიაღვარმა იმსხვერპლა 4 კაცი და ზარალი მისცა მცხოვრებთ 400,000—500,000 მანეთისა. უკეთესს მდგომარეობაში არც ივრის ხეობაა (ტფილ. გუბერნია), ნამეტნავად იტანჯება სოფ. საგარეჯო. შიგ სოფელში ორი დიდი ხევი ჩამოდის. წვიმების დროს ეს ხევები ხელად დიდდებიან, წყალი ვერ ეტევა ხევის კალაპოტში და სხვა გზას ეძებს. ეს გზა სოფლელების სარჩო-საბადებელია ხოლმე. ასე იყო ამ 12 წლის წინად, როცა გარეჯელებს წყალმა 20,000 მანეთად ღირებული სარჩო ხელიდან წაჰგლიჯა. ასევე იყო წრეულს, 12 მარიამობისთვეს, როცა შუადა-

ერთი რომანი დაიბეჭდა. ავტორმა ბრძოლის ველზე ინგლისის წინააღმდეგ საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი გაიყვანა. ინგლისმა, რასაკვირველია, ყველას კუდით ქვა ასროლინა. პირსონის ჟურნალებში იღებენ მონაწილეობას ქუჩის პრესსის მკითხველთა საყვარელი რომანისტები: კანონ დოილი, მარიამ კორელი და ბუტსბი. ამათ რომანებს ცხოვრებასთან საერთო არა აქვთ-რა. ავტორები სცდილობენ ისეთ რამის დაწერას, რაც უფრო საშიში, თავსატეხი და ძნელად დასაჯერებელია. იმავე ჟურნალებში იღებს მონაწილეობას ნიჭიერი პოეტი კიპლინგი. სამხრეთ-აფრიკის ომის დროს ეს პოეტი თავის პოემებით ურჩევდა თანამემამულეთ მთელ ორანჟე-ტრანსვაალის გადაწვას და ბურების დიდიან-პატარიანა ამოწყვეტას.

სწორედ ამ ომის დროს გაძლიერდა და „განვითარდა“ ქუჩის პრესსა. იგი სავსებით კაპიტალისტთა ხელში გადავიდა და, ცრუ პატრიოტიზმით აღჭურვილი, სჭექდა და ჰქუხდა. ქუჩის პრესსამ ის საქმე იკისრა ინგლისში, რასაც კონტინენტზე პოლიცია აკეთებს. ინგლისში პოლიციას უფლება არა აქვს დაშალოს მიტინგი, ან შევიდეს იმ დარბაზში, სადაც მიტინგია. ამიტომ ეს საქმე ნებაყოფლობით ქუჩის პრესსამ იკისრა. იგი ქირაობდა კაცებს და სდევნიდა იმ მიტინგებსა და მოღვაწეებს, რომელნიც ომისთვის ინგლისსა ჰკიცხავდნენ.

სამხრეთ-აფრიკის ომმა დაჰბადა (1900 წ.) უძლიერესი ქუჩის გაზეთი—„დეილი ექსპრესს“. დამაარსებელი და რედაქტორი იგივ პირსონია. პირველი ნომრივე გაზეთმა „პატრიოტულის“ საქმით დაიწყო. გამოაცხადა: „როდესაც ჩვენი მამაცი ჯარი მეფკინგს გაანთავისუფლებს, მობრძანდით რედაქციაში: ყველა მიიღებს დროშას, საყვირსა და თავზე ჩამოსაცობსაო“. მართლაც ხსენებულ დღეს რამდენიმე ათასი კაცი მიაწყდა რედაქციას; მერე ამოდენა ხალხი თავზე ქაღალდის ფაფახ ჩამოცობილი დროშებითა და ბავშურის სტვირებით ხელში ერთის ღრიალითა და სტვენა-თამაშით გაემართა რიდჟენტ-სტრიტისაკენ. „იმხიარულეთ, ინგლისელნო!—სწერდა იგივ გაზეთი:—დავითი, იესეს ძე, დიდი მეფე იყო, მაგრამ ისიც დახტოდა და ცეკვაობდა კიდობნის წინ“. „დეილი ექსპრესს“ არც ერთს დღეს ისე არ ჩაატარებდა, რომ ტყუილი, მაგრამ სენსაციონური დეპეშა არ დაებეჭდა. პირველად მოათავსა დეპეშა, ვითომ გერმანიის იმპერატორ ვილჰელმისაგან მიღებული. ვილჰელმი ატყობინებდა გაზეთის რედაქტორს პირსონს, რომ გულით მინდა ინგლისთან დაკავშირებაო. „დეილი ექსპრესს“-ის მკითხველთ სჯეროდათ ესა და რედაქტორიც სხვას არაფერს დაგიდევდათ. აღარ გამოუდგებით ამ გაზეთის შინაარსის დახასიათებას. ზემოდ უკვე გვქონდა სხვა ქუჩის გაზეთების შინაარსზე ლაპარაკი. „დეილი ექსპრესს“ იმათზე წინ არ წასულა.

რაღა თქმა უნდა, ქუჩის გაზეთებს დღეს ის გავლენა აღარა აქვთ, რაც ომის დროსა ჰქონდათ, და, შეიძლება, მალე ის დროც დაუდგეს ინგლისს, როდესაც ქუჩის გაზეთი სრულიად დაჰკარგავს ნიადაგს.

ი. ძე—ა

---

*) მასალად ვიხმარე ბ-ნ რაუნერის წერილი “Лѣсн. журн“. 1903 წლ. იანვ. მაისი.

ი. ქ.

მისას მოვარდა ზედ სოფელზე შეუპოვარი ხევი. წყალს სოფლელების თვალ-წინ მოჰქონდა იმათი სარჩო: ძნა, თივა, ავეჯეულობა, საქონელი და სხვა. ბევრი მშრომელი გაუშვა ამ ღამემ ულუკმა-პუროდ. საგარეჯოს სერიოზული უბედურება მოელის წყლისაგან ახლო მომავალშიაც, თუ დროზე არ იხმარა საშუალებანი ნიაღვრის ასალაგმავად. ცოტად თუ ბევრად, ამავ მდგომარეობაში არიან პატარძეული, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, ანთოკი, მანავი და სხვანი.

თვით ტფილისიც კი არ არის უზრუნველყოფილი ნიაღვრებისაგან. მოვიგონოთ 4 ივლისი 1902 წ. ზოგიერთი ქუჩები წყალმა ხევად აქცია და ქვეითა სართულები წყლით აავსო. ამ წელსაც, 21 ივლისს, საზარელ სურათს წარმოადგენდა ტფილისი. ავჭალის და სოლოლაკის ქუჩები უშველებელ მდინარებად გადაიქცნენ და დიდი ზარალი მისცეს თვით-მმართველობას და, მეტადრე, ღარიბ მცხოვრებთ, რომელნიც ჩვეულებრივ სარდაფებში სცხოვრობენ. სურფ-სარქისის ქუჩა ორ საჟენზე დახრამა და შენობები დააზარალა. ნიაღვრები აგრეთვე აფუჭებენ გზებს და ხშირად სპობენ მიმოსვლას. გავიხსენოთ საქართველოს სამხედრო გზა, ანანურსა და ფასანაურის შუა. 6 დიდ ხევისაგან წვიმების დროს გზა-ტკეცილი საშინლად ფუჭდება. ტფილის-ბათუმის რკინის გზაზე, მარელისსა და ბელაგორს შუა, ნიაღვრებისაგან მატარებლების შეჩერება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. კერძოდ უფრო დიდი უბედურება მოელის ალაზნისა და ივრის ხეობის მოსახლეებს. ცივ გომბორის მთები მთლად რიყის ქვებისაგან შესდგება, ამისთვის ძლიან ადვილად ირეცხება, ზოვდება და ავსებს ქვით ნაყოფიერს და ბუნებით მდიდარს დაბლობ ადგილებს. მთიდან დაწყებული ხევი ავსებს ქვებით პირვანდელ კალაპოტს, თან-და-თან განიერდება და ნთქავს ოფლით მორწყულს ნაყოფიერ მიდამოებს. ამნაირად, როგორცა ვხედავთ, ზარალი ნიაღვრებისაგან მეტად დიდია და იმათი შესწავლა მეტ ყურადღების ღირსია, ვიდრე აქამდის აქცევდნენ მთავრობა და მცხოვრებნი.

ხევების გაჩენასა და ადიდებას ხელს უწყობს შემდეგი პირობები: 1) კოკისპირული წვიმები; 2) უტყეო ტიტველა მთები; 3) ძალიან დაქანებული ადგილები და მთები; 4) ადვილად გადასარეცხი ნიადაგი. თუ ყველა ეს ფაქტორი შეერთდა, მაშინ ნიაღვრის ძალას წინ ვერაფერი გადაელობება. ცივისა დ გომბორის ნიაღვრების სიძლიერე უმთავრესად უნდა მიეწეროს იმას, რომ ამ მთების ნიადაგს წყალი ადვილად ჰრეცხს. რიონის ბასეინში, მდ. ჩხერემელას ნიაღვრებისაგან ადიდება უნდა აიხსნას უფრო განუწყვეტლივ წვიმებით. მდ. ივრის ადიდება აიხსნება დაქანებულის ხევებითა და ნიადაგის მომძვლევით. რით აიხსნება კახეთში მდ. დურუჯის, თურდოს და კისის-ხევის ადიდება? პირველისა იმით, რომ ეს მდინარე დაქანებული მოდის ყვარელისკენ (დურუჯის სათავე—შავ-კიდეში ძევს—9605^1 სიმაღლეზე, ყვარელი-კი გაცილებით ძირს—1200^1); მდ. თურდოს და კისის-ხევის სათავეები იწყობა ცივის დაქანებულ მთებში, რომელიც მოტიტვლებულია საქონლის ძოვისაგან. რამდენისამე წლის წინად თურდოს და კისის-ხევებში ხაზინის და სოფლის ფულით სხვა-და-სხვა მუშაობა იყო დაწყებული ნიაღვრისაგან ზარალის ასაცდენად. მცხოვრებნი ხევის ნაპირებს ამაგრებდნენ მდინარის ქვემო ნაწილში, რომ დროებით მაინც აეცდინათ ნიაღვრის სტუმრობა. თუმცა ეს დამაგრება ათი-ათასობით მოითხოვდა ფულს, მაგრამ არ შეუშინდნენ და ჩაჰყარეს გოდორყურები. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მიაღწიეს. გოდორყურები უკვე გაივსო ქვებით და ცოტა ხნის შემდეგ შეიძლება ნიაღვარმა ზედ გადაუაროს და წალეკოს. ეჭვი არ არის, ამისთანა დამაგრება ან სულ ვერა შველის, ან მხოლოდ დროებით შეღავათს აძლევს სოფელს. თითქმის ყოველ წელიწადს ამ საქმეზე აუარებელი ფული და შრომა მიდის და ბოლოს სოფელი ისევ შიშ-ქვეშ იმყოფება. აქ სხვანაირად უნდა საქმეს შველა. ბ-ნ რაუნერის აზრით, მუშაობა და დამაგრება უნდა მოხდეს მდინარეების სათავეში, სანამ ერთი ნიაღვარი მეორეს შეუერთდება, და არა მდინარის ბოლოში, სოფლებს ახლო. ბ-ნი რაუნერი გვირჩევს, რომ მდინარის სათავეში, მთაზედ, უნდა გაითხაროს არხები დაახლოვებით ერთ თარაზოში (**террасами по гаризонталямъ**), წვიმის მოგროვილი წყალი ამ არხებიდან ძირს ველში ველარ ჩამოვა ერთბაშად ნიაღვრად და დედა მიწა გაიჟღენთს. გაჟღენთილი წყალი ამ შემთხვევაში მერე მძიმედ წყაროდ გამოვა ხოლმე და სარგებლობასაც მოიტანს. ამნაირი გამაგრება უფრო იაფადაც დაჯდება.

რასაკვირველია, ყოველ შემთხვევაში ადგილობრივ უნდა ივარაუდოს კაცმა, მაგალითად-კი მოვიყვანთ თურდოს გამაგრებას. საძოვარი ადგილი თურდოს ბასეინში 880 დესეტინაა. თუ გავიყვანთ თარაზოთი არხებს (ერთი მეორეზედ 3 საჟ. სიშორეზე) და მივიღებთ მხედველობაში, რომ თითო დესეტინაზე ამისთანა არხები 325 საჟ. სიგრძეს დაიჭერს, მაშინ ყველა არხის სიგრძე—286,000 საჟ. იქნება. ამათი გაყვანა დაჯდება—28,000 მ. (ამას მოუნდება 55,200 დღე მუშა, თითო კაცი 50 კ.). ამ ხარჯს აქ მიუმატეთ შესაფერ იარაღის ყიდვა მუშაობისთვის, გზების გაკეთება, ყარაულების სახლები და სხვა—14,300 მ., სულ 42—45,000 მ., ე. ი. უფრო ნაკლები, ვიდრე გოდორყურეებით და დამბებით დამაგრება დაჯდებოდა. ამ მუშაობისთვის შეიძლება დაიხარჯოს ის ფული, რომელსაც ტყის მოვაჭრე გამყიდველნი ხაზინის სასარგებლოდ იხდიან. ეს ფული, როგორც 1859 და 1862 წ. კანონშია ნათქვამი, უნდა მოხმარდეს ხიდებისა და გზების გაკეთებას, ნიაღვრების დამაგრებას და სხვას. ბ-ნ რაუნერის აზრით, ზემოდ მოყვანილ საშუალებას გარდა საჭიროა შემდეგი საშუალებანი ვიხმაროთ ხევების ადიდების ასაცილებლად.

1. მთებში ტყეები უნდა გამაგრდეს და ფრთხილად იხმარებოდეს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტყის კაფვას, და სადაც იგი ნიაღვარს შეუწყობს ხელს, აიკრძალოს საყოველთაოდ 2. ტყეებში გზები გაკეთდეს. 3. საქონლის ძოვნა უნდა აიკრძალოს ზოგ ალაგას, მეტადრე ჯეელ ჭალებში. 4. ტყის ადმინისტრაცია გადიდდეს და სხვა.

როგორც ზემოდა ვნახეთ, ნიაღვარს დიდი ზარალი მოაქვს ჩვენ სოფლებში. საუბედუროდ, საზოგადოება ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს ამ საგანს და თითქმის შეურიგდა კიდეც ამ მოვლენას. ნიაღვრებისაგან ზარალი ხალხის საერთო უბედურებად გარდაიქცა და რადგან ერობა ჯერ ვერ გვღირსებია, ადმინისტრაციამ მაინც უნდა იღონოს რამე საერთო გალატაკების ასაცილებლად.

ი. ქურდიანი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში" დაბეჭდილია ფინლიანდიის სამხედრო კომისარიატის და ფინლიანდიის საიმპერატორო სენატის სამოლიცო ექსპედიციის გაუქმებისა და ფინლიანდიის კადეტთა კორპუსის მოხელეთა და კადეტთა სხვა კორპუსებში გადაყვანის შესახებ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. აზრად აქვთ ნიჟეგოროდში 1904 წელს იარმუკობის დროს მოაწყონ მეღვინეობის გამოფენა.

მოსკოვი. საპატიო მოქალაქის პოპოვის ქალმა ქალაქს უანდერძა უძრავი მამული, ღირებული 200 ათას მანეთად, და სხვა-და-სხვა ფასიანი ქაღალდები განუკურნებელ ბრმათა დასახმარებლად.

სტამბოლი. ნოტას ჩაბარების შემდეგ არც ილდიზ-კიოსკსა და არც პორტას ავსტრიისა და რუსეთის ელჩებთან მოლაპარაკება არ ჰქონიათ. პორტამ ყველა თავის საელჩოს დეპეშით შეატყობინა, შეჰკრიბეთ ცნობები, თუ დანარჩენი სახელმწიფოები როგორ აპირებენ მოქცევას და ამის შესახებ მოხსენება წარმომიდგინეთო. როგორც პორტასთან დაახლოვებულ წრეების ლაპარაკიდან ირკვევა, ოსმალეთს სწადიან, ენერგიული წინააღმდეგობა განაცხადოს ნოტის პირველ სამ მუხლის თაობაზე, უფრო კი პირველ მუხლის თაობაზე შესცვალოს და წარადგინოს კონტრ-წინადადება და სახელმწიფოებს ნოტის მუხლების უფრო დაწვრილებით ახსნა მოსთხოვოს. მინისტრების დღევანდელ ბჭობაზე ნოტა რეფორმათა შესახებ მეორედ უნდა განიხილონ.

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტი და ყველა დანარჩენი მინისტრები გაემგზავრნენ სხვა-და-სხვა ქალაქებში საარჩევნო კომპანიების გასამართავად. რაკი კანონით აკრძალულია არჩევნების დროს სათადარიგო ჯარის კაცთა სამსახურში დატოვება, ამიტომ სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა დაითხოვონ სათადარიგო ჯარი, რომელიც ორი კვირის წინათ იყო მოწვეული. საქმის მცოდნე წრეები ირწმუნებიან, ომი მოსალოდნელი აღარ არისო. მაკედონიიდან მოსულ ცნობებით, სარაფოვი ცოცხალია, კარგადაც არის და ამზადებს ოსმალებზე მოულოდნელ თავდასხმას. მოუთმენლად მოელიან პორტასაგან პასუხს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის მიერ წარდგენილ წინადადებაზე რეფორმათა შესახებ.

მარსელი. ამერიკის კონსული სკინერი ჯიბუტში წავიდა, საიდანაც წავა ადდის-აბებუში აბისინიასთან სავაჭრო ხელ-შეკრულობის დასადებად.

15 ოქტომბერი

პეტერბურგი. სავაჭრო ზღვაოსნობის მთავარმმართველის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი კონტრ-ადმირალი აბაზა დაინიშნა შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ კამიტეტის წევრად.—უავგუსტოეს მანარხების ბრძანებით გრაფმა ლამზდორფმა და გრაფმა გოლუხოვსკიმ გაუგზავნეს რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებს კონსტანტინეპოლში ერთგვარი ინსტრუქცია, რომლის თანახმად ზინოვიევმა და კალიცემ წარუდგინეს პორტას შესაფერი წინადადება: 1. რეფორმების განხორციელების დროს ოსმალეთის მოხელეების მოქმედებისათვის კონტროლის დასაწესებლად დაინიშნოს ხილმი-ფაშასთან რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთისაგან განსაკუთრებული აგენტები, რომლებიც მუდამ თან ეახლებიან უფროს ინსპექტორს და თვალ-ყურს ადევნებენ ქრისტიან მცხოვრებთა საჭიროებას, უჩვენებენ ადგილობრივ მოხელეთა ბოროტ-მოქმედებას, გადასცემენ შესაფერ წინადადებებს კონსტანტინეპოლის ელჩებისაგან და ყოველივეს, რაც კი მოხდება ამ მხარეში, მოახსენებენ თავის მთავრობას. მათი მინდობილება შეწყდება ორი წლის შემდეგ დღიდან დანიშვნისა. პორტა ვალდებულია, მისწეროს ადგილობრივ მოხელეთ, აღმოუჩინონ აგენტებს შემწეობა მინდობილ საქმის შესრულების დროს. 2. ჟანდარმერიისა და პოლიციის ახალ წესზე მოწყობა ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია მხარეს დასამშვიდებლად. ამ საქმისთვის გამოგზავნილმა შვეციის და სხვა სახელმწიფოს ოფიცრებმა ენისა და ადგილობრივ პირობების უცოდინრობისა გამო ვერ მოიტანეს შესაფერი სარგებლობა. პირვანდელ პროექტში სასურველია ცოტა ცვლილება მოხდეს, მხოლოდ რეორგანიზაცია ჟანდარმერიისა სამს ვილაეტში მიენდოს უცხოელ ეროვნების გენერალს, რომლის დასახმარებლად დიდი სახელმწიფონი გაგზავნიან სამხედრო მოხელეთ; იმათ მიენდობა ცალკე რაიონები, სადაც იმოქმედებენ როგორც კონტროლიორი, ინსტრუქტორები და ორგანიზატორები და თვალ-ყურს ადევნებენ ოსმალეთის ჯარის ადგილობრივ მცხოვრებთან დამოკიდებულებას. ამ ოფიცრებს ნება ეძლევათ, თუ დაინახვენ საჭიროდ, ითხოვონ უცხო სახელმწიფოთა ჯარის ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრების მოწვევის შესახებ. 3. როგორც კი დამშვიდდება მხარე, მოითხოვონ ოსმალეთის მთავრობისაგან ახალი ადმინისტრატიული რაიონების განსაზღვრა ეროვნებათა მიხედვით. 4. მოითხოვონ ახალ წესზე მოწყობა ადმინისტრატიულ და სასამართლო დაწესებულებებისა. სასურველია ამ დაწესებულებებში ადგილობრივი ქრისტიანებიც მსახურებდნენ და ხელი შეეწყოს ადგილობრივ თვითმართველობის განვითარებას. 5. დაწესდეს უმთავრეს ცენტრებში და ვილაეტებში ქრისტიან და მუსულმან დელეგატებისაგან შემდგარი კომისია იმ საქმისა და დანაშაულობის განსახილველად, რომელიც არეულობის დროს მოხდება. კომისიებში მონაწილეობას უნდა იღებდნენ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის კონსულების წარმომადგენლები. 6. უნდა მოეთხოვოს მთავრობას, გადასდოს ფული ბოლგარიაში გადახვეწილ ქრისტიან ოჯახების დასაბრუნებლად და დასახმარებლად, აგრეთვე ოსმალეთის მიერ დანგრეულ ეკკლესიების, სკოლებისა და სახლების ასაგებად.—ამ ფულს განაწილებს კომისია, შემდგარი ქრისტიან მცხოვრებთა წარმომადგენელთაგან. რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის კონსულები-კი თვალ-ყურს ადევნებენ ამ ფულის დახარჯვას. 7. ოსმალეთის ჯარის მიერ გადამწვარ ქრისტიანების სოფლებში მცხოვრებნი უნდა განთავისუფლდნენ ორი წლის განმავლობაში ყოველ გვარ გადასახადებისაგან. 8. ოსმალეთის მთავრობა განაახლებს ვალდებულებას, რომ პროექტში მოხსენებული რეფორმა დაუყოვნებლივ განახორციელოს. 9. რადგანაც მეტი წილი ძალმომრეობისა და სამკაცრისა ბაში-ბუზუკების მიერ არის ჩადენილი, აუცილებლად საჭიროა, დაითხოვონ ისინი სამსახურიდან და მომავალში ადგილი არ ჰქონდეს ბაში-ბუზუკების ბრბოს შედგენას.

კიევი. გუშინ ჟმერინკის სადგურზე ხალხით სავსე მეოთხე კლასის ვაგონში აფეთქება მოხდა. დაშავდნენ ორი კონდუქტორი, ორი ტელეგრაფისტი და 53 მგზავრი, ამათ რიცხვში 12 ძლიერ დაშავდა. მიზეზი აფეთქებისა არ იციან.

სოფია. რაზლოგის ოლქიდან გადმოხვეწილები ისევ მოდიან. იმათი რიცხვი სამი ათასამდე ადის, უმეტესობა მოხუცებულნი, ქალები და ბავშვებია. საზოგადო რიცხვი გადმოხვეწილთა ბოლგარიაში 25 ათასამდეა. მიუხედავათ სიცივისა რამდენიმე რაზმები ისევ იბრძვიან და იმალებიან პერმის, ბელიანის და ბალაშტიცის ხეობებში.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო"-ს გაუგია, რომ სახელმწიფონი თანხმდებიან და მხარს დაუჭერენ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის მიერ მაკედონიისათვის შემუშავებულ რეფორმათა პროექტს.

სოფია. ნოვროკოპიდან მოვიდა ათასამდე გადმოხვეწილი. გამოქცევის დროს მათ მოსდევდა ოსმალეთის ჯარის ორი რაზმი და თოფს ესროდა, სანამ საზღვარზე არ გადმოვიდნენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მომღერალი

ფილიმონ ქორიძე

ასწავლის გალობა-სიმღერას ევროპიულად და ქართულად და იტალიურ ენას. **ქალი მისი ვალენტინა**—ფორტე-პიანოზე დაკვრას და ფრანგულ ენას. ერმოლოვის ქუჩა, სახლი ხარაზოვისა № 7. მოლაპარაკება: დილით 10—1, საღამოთი 4—6 საათამდე. (3—1)

ქუთაისში

სამ. ი. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

მცხეთას,

„არმაზში", რომელიც რკ. გზის სადგურიდან 3/4 ვერსზეა, **იყიდება** შეღავათიანის პირობებით მიწის ნაჭრები. ფასი ოთხ-კუთხ საჟენისა 40 კაპეიკიდან 1—50 კ.-მდე მიწის ნაჭრების დათვალიერება დანიშნულია კვირას, 19 ოქტომბრისათვის.

იკითხეთ აგარაკი ჩხარტიშვილისა

(4—168—1)

მალე, კარგად და იაფად

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ვიღებ შესაღებავად და გასაწმენდად ყოველგვარ „მატერიას" და ტანსაცმელებს ყოველნაირ ფერებისას, სურვილისამებრ. შეკერილი ტანისამოსი შეიძლება სამკაულიანიც იყოს და პალტოები—ტყავის სარჩულიანი,—ვღებავ დაურღვევლად. ამ საქმეში იმდენად დახელოვნებული ვართ, რომ ჩვენს ფირმას მთელი რუსეთი იცნობს. ყველას შეუძლია პირადად დარწმუნდეს. სახელოსნო იმყოფება ავჭალის ქუჩაზე, სახლი № 68, „ფრანგული სამრეცხაო" ყოფილი ტელქოვისა. განყოფილება არსებობს მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 59.

პატივისცემით **ივანოვი შვილით და კალევიჩი**

(5—164—3)

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).